სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
23.06.2017 № 125
თბილისი

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა
ასისტენტის შესარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ,,,,პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის №244 დადგენილებში ცვლილების შეტანის შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბერის №622 დადგენილებისა და სტუ-ის სწავლების დეპარტამენტის უფროსის ი. ლომიძის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს კონკურსი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტის შერჩევის მიზნით. კონკურსი ჩატარდეს 2017 წლის 25 ივლისს;
2. კონკურსში მონაწილეთა განცხადების მიღება დაიწყოს 2017 წლის 10 ივლისიდან და დასრულდეს 2017 წლის 18 ივლისს, 17:00 საათზე. საბუთები მიიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მის.: კოსტავას ქ. №77. მე-2 სართული, ოთახი №241, კანცელარია, ტელ.: 2 36 52 03), 10 საათიდან 17 საათამდე;
3. დამტკიცდეს საკონკურსო პირობები დანართის შესაბამისად;
4. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.
5. ეთხოვოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს (დ. მეფარიშვილს) წინამდებარე განცხადების სხვადასხვა ინტერნეტ გამოცემებში ასახვა.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზები:
ვიცე-რექტორი
ლ. კლიმიაშვილი

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის
უფროსი ბ. მაისურაძე